საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება № 998
2013 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე- 60 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N337 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის თანდართული წესი.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 24 მარტის №384 ბრძანება ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ";

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 6 აგვისტოს N874 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ”;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 14 თებერვლის №109 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის –„112“-ის სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრი *ალექსანდრე ჭიკაიძე*

დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი

მუხლი 1

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი აწესრიგებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (შემდგომში - სსიპ) დასაქმებულ პოლიციის სპეციალური წოდების მქონე პირთა, სამოქალაქო პირთა და დამხმარე მოსამსახურეთა (რომელთაც უკავიათ შტატი და არ გააჩნიათ სპეციალური წოდება) და შტატგარეშე მოსამსახურეთა (შემდგომში - მოსამსახურე) სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობებს.

2. ამ ბრძანების გარდა მოსამსახურის სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს (შემდეგში - მინისტრი) უფლება აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (შემდგომში - სამართლებრივი აქტი) მოსამსახურეს დაუწესოს სპეციალური დანამატები და კომპენსაციები, განუსაზღვროს ერთჯერადი დახმარების ან სხვა სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები.

მუხლი 2

1. სპეციალური წოდების მქონე პირს ეძლევა ყოველთვიური ფულადი სარგო - ხელფასი (თანამდებობრივი სარგო და წოდებრივი სარგო), ნამსახური წლებისათვის ხელფასზე (ყოველთვიური ფულადი სარგო) ყოველთვიური დანამატი, საჭიროების შემთხვევაში, სასურსათო ულუფა, ფორმის ტანსაცმელი, სხვა დანამატები და კომპენსაციები.

2. სამოქალაქო პირს და დამხმარე მოსამსახურეს ეძლევა ყოველთვიური ფულადი სარგო – ხელფასი (თანამდებობრივი სარგო), სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, სასურსათო ულუფა, ფორმის ტანსაცმელი და სხვა დანამატები და კომპენსაციები.

3. შტატგარეშე მოსამსახურეთა ყოველთვიურ ხელფასს და სხვა ფულად გასაცემს სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს სსიპ-ის ხელმძღვანელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, შტატგარეშე მოსამსახურეს შესაძლებელია მიეცეს სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი.

4. სსიპ-ის სპეციალური წოდების მქონე პირისა და სსიპ-ის სამოქალაქო პირის შრომის ანაზღაურებისა და სხვა გასაცემლის დაანგარიშება ხდება კალენდარული დღეების მიხედვით, ხოლო სსიპ-ის დამხმარე მოსამსახურისა და სსიპ-ის შტატგარეშე მოსამსახურის - სამუშაო დღეების მიხედვით.

4^1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომში – სსიპ – დაცვის პოლიციის

დეპარტამენტი) არასაბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ქვედანაყოფის მოსამსახურეს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეიძლება დაუწესდეს სახელფასო დანამატი №1 დანართით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. *(14.06.2018 N64 გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

5. მოსამსახურეს კუთვნილი შვებულების დროს ეძლევა შესაბამისი ხელფასი (ფულადი სარგო), წელთა ნამსახურობისა და სხვა სპეციალური დანამატები და კომპენსაციები.

6. მოსამსახურეს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარებასთან ერთად ეძლევა კომპენსაცია მის მიერ ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდში მისაღები შრომითი გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესავსებად.

7. სსიპ-ის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით მოსამსახურეს წახალისების სახით, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო (პრემია) და ფასიანი საჩუქარი. ასევე განსაკუთრებულ შემთხვევებში - ერთჯერადი დახმარება.

მუხლი 3

1. მოსამსახურეს ფორმის ტანსაცმლით უზრუნველყოფს სსიპ, რომლის ნიმუშსაც ამტკიცებს მინისტრი.

2. მოსამსახურის სასურსათო უზრუნველყოფისა და სანივთე ქონებით უზრუნველყოფის ნორმებს ამტკიცებს სსიპ - ის ხელმძღვანელი მინისტრის მიერ დადგენილი საორიენტაციო ნორმების გათვალისწინებით.

3. სსიპ-ის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით შესაძლებელია დაწესდეს მოსამსახურეთათვის კვებითი უზრუნველყოფის საბარათე სისტემა, რომლის მიხედვით სასურსათო ბარათით მოსარგებლე პირი გამოყოფილი თანხის ფარგლებში თავად განსაზღვრავს სასურსათო ულუფას.

4. მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე ყოფნის დროს (სამსახურის გავლის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვების უზრუნველყოფის პერიოდში) სსიპ-ის სპეციალური წოდების მქონე პირს და სსიპ-ის სამოქალაქო პირს უნარჩუნდება სასურსათო ულუფა.

მუხლი 4

სამსახურებრივი დანიშნულების ცხოველების (ძაღლი, ცხენი) სასურსათო უზრუნველყოფის ნორმებს განსაზღვრავს მინისტრი სამართლებრივი აქტით. მოსამსახურეს, რომელიც მინისტრის მიერ დადგენილი წესით განახორციელებს სამსახურებრივი დანიშნულების ცხოველების მოვლა-შენახვას საკუთარ სახლში, ეძლევა ყოველთვიური კომპენსაცია, რომლის ოდენობასაც, ცხოველის შენახვისათვის საჭირო სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრავს მინისტრი სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5 *(15.03.2018 N 39)*

მოსამსახურე და მისი ოჯახის წევრები (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილები) ექვემდებარებიან ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას სსიპ-ის ბიუჯეტის ხარჯზე, ხოლო სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტში

სავალდებულო დაზღვევას ექვემდებარებიან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაცვის პოლიციის დანაყოფების სპეციალური წოდების მქონე პირები, აგრეთვე სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთარი შემოსულობებიდან მიღებული თანხების ხარჯზე ამავე დეპარტამენტის დანაყოფების ოპერატიული რეაგირების ჯგუფების, ინკასაციის სამმართველოსა და მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოს სპეციალური წოდების მქონე პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ფულადი სახსრებისა და ფასეულობათა ინკასირებასა და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებაში. *(15.03.2018 N 39)*

მუხლი 6

მოსამსახურეს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის იყენებს სამსახურებრივ ან პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებასა და მობილურ ტელეფონს, საწვავით და სასაუბრო დროის ლიმიტებით (საჭიროების შემთხვევაში ბარათებით) უზრუნველყოფს სსიპ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7

მოსამსახურეს მინისტრის სამართლებრივი აქტით შესაძლებელია საცხოვრებლად სარგებლობაში გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბინა, სახლი, დამხმარე ნაგებობები და მათზე მიმაგრებული მიწის ფართობი. მოსამსახურეს, რომელსაც გადაცემული აქვს სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება, როგორც მართლზომიერ მფლობელს, შეუძლია მასზე მოიპოვოს საკუთრების უფლება სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე.

მუხლი 8

1. მოსამსახურეს, რომელსაც უწევს სამსახურებრივი გადაადგილება რომელიმე სხვა ქალაქში, რაიონში ან დასახლებულ პუნქტში, რაც დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლასა და ბინის დაქირავებასთან, ან სხვა გამონაკლის შემთხვევაში, ბინის დაქირავებისას, ოჯახის თითოეულ წევრზე (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილები) სსიპ-ის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით (შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით), საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვიური კომპენსაციის სახით შეიძლება მიეცეს არა უმეტეს:

ა) ქ. თბილისში:		
ოჯახის გარეშე		370 ლარი
ორწევრიანი ოჯახისათვის		240 ლარი
სამი და მეტი წევრის შემთხვევაში		180 ლარი
ბ) სხვა ქალაქებში: *(4.12.2007 N671)*		
ოჯახის გარეშე		240 ლარი
ორწევრიანი ოჯახისათვის		160 ლარი
სამი და მეტი წევრის შემთხვევაში		120 ლარი
გ) სხვა დასახლებულ პუნქტებში:		
ოჯახის გარეშე		160 ლარი
ორწევრიანი ოჯახისათვის		100 ლარი
სამი და მეტი წევრის შემთხვევაში		80 ლარი.

2. კომპენსაცია გაიცემა ქირავნობის (პერიოდის მითითებით) და ბინაში მცხოვრები ოჯახის წევრთა რაოდენობის შესახებ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის, აგრეთვე, მესაკუთრის (ფიზიკური პირი) გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე.

3. თუ მოსამსახურისათვის ბინის დაქირავებას ახორციელებს სსიპ, ბინის ქირის ღირებულება განისაზღვრება სსიპ-სა და მესაკუთრეს (ფიზიკურ პირს) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 9

კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში სპეციალური წოდების მქონე პირს და სსიპ - ის სამოქალაქო პირს ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად უნარჩუნდება ხელფასი (ფულადი სარგო) ორი თვის განმავლობაში.

მუხლი 10

მოსამსახურეს სსიპ - ის ბიუჯეტის ხარზე, სსიპ - ის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტის საფუძველზე აქვს პროფესიული განათლების მიღების, სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე სწავლის უფლება.

მუხლი 11

1. სპეციალური წოდების მქონე პირს საომარი მდგომარეობის დროს შეიარაღებულ კონფლიქტში უშუალო მონაწილეობისას მინისტრის სამართლებრივი აქტის საფუძველზე ერთი დღე ჩაეთვალოს ნამსახურობის სამ დღედ. შესაბამისად, ფულადი სარგო დროის ამ პერიოდში მიეცეს სამმაგი ოდენობით.

2. სპეციალური წოდების მქონე პირს, რომელსაც ეძლევა ფულადი სარგო სამმაგი ოდენობით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი დანამატები და პენსია/კომპენსაცია უანგარიშდება ფულადი სარგოს ერთმაგი ოდენობიდან.

მუხლი 12

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ პირს სსიპ-ის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით ეძლევა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით და დაკრძალვის (საფლავის მოწყობა) ხარჯები 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ასევე სსიპ - ის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტის საფუძველზე, კურატორი მინისტრის მოადგილის თანხმობით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული მოსამსახურის ოჯახის წევრს (მემკვიდრე) ან მის კმაყოფაზე მყოფ პირს შესაძლებელია მიეცეს მატერიალური ან/და ფულადი დახმარება.

2. მოსამსახურეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, მინისტრის სამართლებრივი აქტით ეძლევა ერთჯერადი დახმარება შემდეგი ოდენობით:

ა) მძიმე დაზიანებისას - 7000 (შვიდი ათასი) ლარი;

ბ) ნაკლებად მძიმე დაზიანებისას - 4 000 (ოთხი ათასი) ლარი;

გ) მსუბუქი დაზიანებისას - 2 000 (ორი ათასი) ლარი.

3. მინისტრის სამართლებრივი აქტის საფუძველზე, გარდაცვლილი მოსამსახურის ოჯახის წევრს (მემკვიდრე) ან მის კმაყოფაზე მყოფ პირს შესაძლებელია მიეცეს მატერიალური ან/და ფულადი დახმარება.

4. დაღუპულ (გარდაცვლილ) მოსამსახურეზე ფაქტიურად გაცემული ხელფასი (ფულადი სარგო), დანამატი, კომპენსაცია და პრემია არ ექვემდებარება დაბრუნებას.

მუხლი 12[1] *(1.02.2017 N 47)*

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური ახორციელებს მოსამსახურეთა და მათ ოჯახის წევრთა (მეუღლე, შვილი) სამედიცინო უზრუნველყოფას კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 10000 ლარის ოდენობით. *(26.04.2017 N 218)*

2. მოსამსახურის სამედიცინო უზრუნველყოფა შესაძლებელია 10000 ლარზე მეტი ოდენობით მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში. მოსამსახურისათვის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამედიცინო დახმარების საკითხების შემსწავლელი კომისია, რომლის საქმიანობის წესი განისაზღვრება მინისტრის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 13

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სპეციალური წოდების მქონე პირის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, თუ ეს დაზიანება შეუძლებელს ხდის მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას, სსიპ უზრუნველყოფს პირის სამინისტროს სისტემაში, მისი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის თანამდებობაზე დასაქმებას. თუ სსიპ ობიექტური მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს დასაქმებას, უმუშევრობის პერიოდში, მაგრამ არა უმეტეს 1 წლისა, მას ყოველთვიურად ეძლევა კომპენსაცია ბოლო დაკავებული თანამდებობის თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით. აღნიშნული კომპენსაცია გაიცემა მინისტრის სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 14

ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდეს სსიპ-ის ბიუჯეტის ხარჯზე.

დანართი №1 *(14.06.2018 N64 გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

1. სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის არასაბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ქვედანაყოფის მოსამსახურის (შემდგომში – მოსამსახურე) სახელფასო დანამატი განისაზღვრება დაცვის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) ღირებულების გათვალისწინებით.

2. თუ ხელშეკრულების ღირებულება თვეში ერთი უმცროსი ინსპექტორის (რიგითი შემადგენლობა) მომსახურებისათვის აღემატება 500 ლარს, უმცროს ინსპექტორს სახელფასო დანამატის სახით მიეცემა ხელშეკრულების ღირებულებიდან 500 ლარს ზევით დარიცხული თანხის 85 პროცენტი.

3. თუ ხელშეკრულების ღირებულება თვეში ერთი ოფიცრის მომსახურებისათვის აღემატება 600 ლარს, ოფიცერს დანამატის სახით მიეცემა ხელშეკრულების ღირებულებიდან 600 ლარს ზევით დარიცხული თანხის 85 პროცენტი.

4. ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაო ცვლიდან თავისუფალ დროს დამატებითი სამუშაოს შესრულებისთვის მოსამსახურის სახელფასო დანამატი გაიცემა შემდეგი წესით:

ა) სრული სამუშაო ცვლის შესრულებისას სახელფასო დანამატის საერთო თანხა განისაზღვრება დამატებით გაწეული მომსახურებისათვის დარიცხული თანხის 50 პროცენტის ოდენობით;

ბ) ხელშეკრულებაში ერთი მოსამსახურის მომსახურებისათვის საფასურის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში დანამატის საერთო თანხა განისაზღვრება თანამდებობრივი სარგოს 80 პროცენტის ოდენობით;

გ) არასრული სამუშაო ცვლის შესრულებისას სახელფასო დანამატი განისაზღვრება საათობრივად, ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით.

5. მოძრავი ტვირთების, მათ შორის, ფულადი სახსრებისა და ფასეულობების დაცვა-გაცილებაში მონაწილე მოსამსახურეს (ინკასაციის, მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოების მოსამსახურეთა გარდა) სამუშაო ცვლიდან თავისუფალ დროს, დამატებითი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში, ეძლევა სახელფასო დანამატი, რომლის საერთო თანხა განისაზღვრება გაწეული მომსახურებისათვის დარიცხული თანხის 25 პროცენტის ოდენობით.

6. რკინიგზის ობიექტების დაცვის სამმართველოს სატვირთო მატარებლების გაცილებაში მონაწილე მოსამსახურეს ყოველი გაცილებისთვის ეძლევა სახელფასო დანამატი შემდეგი წესის მიხედვით:

ა) 30 კმ-დან 100 კმ-მდე – 5 ლარი;

ბ) 100 კმ-დან 150 კმ-მდე – 10 ლარი;

გ) 150 კმ და მეტი – 17.50 ლარი.

7. ამ დანართის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დანამატის საერთო თანხა ყოველთვიურად ნაწილდება დამატებითი სამუშაოს შესრულებაში მონაწილე მოსამსახურეებზე წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, ხოლო მე-6 პუნქტის შემთხვევაში – სამსახურებრივი ბარათისა და თანდართული შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით.

შენიშვნა:

1. 2013 წლის 1 მარტიდან 2017 წლის 1 ივნისამდე სახელშეკრულებო ურთიერთობათა ფარგლებში დაცვის ქვეშ აყვანილი ახალი და/ან დამატებული ობიექტის, აგრეთვე 2013 წლის 1 მარტამდე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაცვის ქვეშ აყვანილ ობიექტზე, 2013 წლის 1 მარტიდან 2017 წლის 1 ივნისამდე განსხვავებული საშტატო ერთეულის შექმნის შემთხვევაში, აღნიშნულ საშტატო ერთეულზე დასაქმებული მოსამსახურის სახელფასო დანამატი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) თუ ხელშეკრულების ღირებულება თვეში ერთი უმცროსი ინსპექტორის (რიგითი შემადგენლობა) მომსახურებისათვის აღემატება 500 ლარს, უმცროს ინსპექტორს სახელფასო დანამატის სახით მიეცემა ხელშეკრულების ღირებულებიდან 500 ლარს ზევით დარიცხული თანხის 50 პროცენტი;

ბ) თუ ხელშეკრულების ღირებულება თვეში ერთი ოფიცერის მომსახურებისათვის აღემატება 600 ლარს, ოფიცერს სახელფასო დანამატის სახით მიეცემა ხელშეკრულების ღირებულებიდან 600 ლარს ზევით დარიცხული თანხის 50 პროცენტი.

2. 2017 წლის 1 ივნისიდან სახელშეკრულებო ურთიერთობათა ფარგლებში დაცვის ქვეშ აყვანილი ახალი და/ან დამატებული ობიექტის, აგრეთვე 2017 წლის 1 ივნისამდე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაცვის ქვეშ აყვანილ ობიექტზე, 2017 წლის 1 ივნისიდან განსხვავებული საშტატო ერთეულის შექმნის შემთხვევაში, აღნიშნულ საშტატო ერთეულზე დასაქმებული მოსამსახურის სახელფასო დანამატი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) თუ ხელშეკრულების ღირებულება თვეში ერთი უმცროსი ინსპექტორის (რიგითი შემადგენლობა) მომსახურებისათვის აღემატება 600 ლარს, უმცროს ინსპექტორს სახელფასო დანამატის სახით მიეცემა ხელშეკრულების ღირებულებიდან 600 ლარს ზევით დარიცხული თანხის 50 პროცენტი;

ბ) თუ ხელშეკრულების ღირებულება თვეში ერთი ოფიცრის მომსახურებისათვის აღემატება 700 ლარს, ოფიცერს სახელფასო დანამატის სახით მიეცემა ხელშეკრულების ღირებულებიდან 700 ლარს ზევით დარიცხული თანხის 50 პროცენტი.

3. შენიშვნის პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება იმ დაცვის ობიექტზე, სადაც:

ა) დამკვეთის მიერ განხორციელდა სამართლებრივი ფორმის, სახელწოდების, იურიდიული მისამართის შეცვლა, მაგრამ დაცვის ობიექტი უცვლელია;

ბ) დამკვეთის მიერ განხორციელდა მისამართის შეცვლა, მაგრამ უცვლელი დარჩა შტატით გათვალისწინებული თანამდებობა;

გ) შეიცვალა დამკვეთი, მაგრამ უცვლელი დარჩა დაცვის ობიექტი და შტატით გათვალისწინებული თანამდებობა.